



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინკითის ტბა

ინკითის ტბა, ტბა ბიჭვინთის კონცხზე, გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფხაზეთის არ). ზ. დ. მინუს 0,8 მ, ტბის სარკის ფართ. 0,40 კმ², უდიდესი სიღრმე 3,2 მ, წყლის მოცულობა 810 მ³. ადრე ტბიდან ნაკადული გაედინებოდა, წყალი მტკნარი იყო. ამჟამად ტბის დონის ხელოვნურად დაწვევის გამო ტბაში ზღვის წყალმა დაიწყო ჩაჟონვა და წყლის მარილიანობა 5 გრ/ლ-მდე გაიზარდა. ი. ტ-ში რამდენიმე სახეობის თევზია.

ი. აფხაზავა
